რეგისტრაციის N 57/36

ინკლუზიური სწავლება

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

„13“ 12 2017 წელი

ეგზ. N1

ინკლუზიური სწავლება

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში № 57/36

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2017

სარჩევი

ტერმინთა შემოკლება 3
შემაჯამებელი მიმოხილვა 4
1. შესავალი 8
1.1. აუდიტის მოტივაცია 8
1.2. აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები 9
1.3. აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია 10
1.4. აუდიტის კრიტერიუმები 11
2. ზოგადი ინფორმაცია 15
აუდიტის მიგნებები 21
3. ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად დანერგილი მექანიზმების ნაკლოვანებები 21
3.1. სკოლებში ინფრასტრუქტურული გარემოს ნაკლოვანებები 21
3.2. ინკლუზიური განათლების კუთხით მასწავლებლების გადამზადების ნაკლოვანებები 29
4. დაფინანსების მოდელის ნაკლოვანებები 34
5. პროგრამის მართვის ნაკლოვანებები 39
5.1. საკმარისი ინფორმაციის არარსებობა 39
5.2. მოსწავლის პროგრამაში ჩართვის ნაკლოვანებები 41
5.3. შედეგების შეფასების ნაკლოვანებები 43
ბიბლიოგრაფია 46
დანართი 48

ტერმინთა შემოკლება

გუნდი - მულტიდისციპლინური გუნდი

სააგენტო - სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

სამინისტრო - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სამმართველო - ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო

სსსმ მოსწავლე - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

პროგრამა - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა

ცენტრი - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

შემაჯამებელი მიმოხილვა

განათლების მიღება, განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად, ყველა ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მოსწავლეების სასკოლო პროცესში სრულფასოვანი ინტეგრირება ინკლუზიური განათლების მთავარ მიზანს და სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მოცემული მიზნის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამას“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ინკლუზიური სწავლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა ის შედეგები და ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური სწავლების ეფექტიანად დანერგვაზე, კერძოდ:

- ქვეყნის მასშტაბით, არსებობს ინკლუზიური განათლების მიზნების შესაბამისად ადაპტირებული სკოლები და მათ არ ჰყავთ სსსმ მოსწავლეები. ამის საპირისპიროდ, ფიქსირდება სკოლები, სადაც ირიცხებიან სსსმ - მათ შორის ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები, რომელთა გარემო არ არის თანხვედრაში ინკლუზიური განათლების მიზნებთან, რაც ერთი მხრივ ზრდის ფინანსური რესურსის არაპოდუქტიულად განკარგვის რისკებს და მეორე მხრივ, ზღუდავს მოსწავლეებისთვის განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას.
- ტრენინგების მეშვეობით მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობის არასათანადოდ გათვალისწინება, როგორც სპეციალური, ასევე იმ საგნის მასწავლებლებისთვის რომლებიც ასწავლიან სსსმ მოსწავლეს, აფერხებს სწავლების პროცესის სათანადო ხარისხით წარმართვას. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების კუთხით გადამზადებული მასწავლებლები, სსსმ მოსწავლე კი სკოლაში არ ირიცხება და პირიქით - იმ სკოლებში სადაც სწავლობენ სსსმ მოსწავლეები, უმეტეს ნაწილს არ ჰყავს გადამზადებული მასწავლებლები.

- სსსმ მოსწავლის სწავლების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის გამოყოფილი დამატებითი დაფინანსების ოდენობის განმსაზღვრელი კალკულაცია არ არის გაწერილი. დაფინანსების ოდენობა არ არის მორგებული სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და არაპროპორციულადაა განაწილებული სკოლებს შორის მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებაში, რაც ზრდის ფინანსური რესურსის არაპროდუქტიულად განკარგვის რისკებს.
- სკოლებში ინკლუზიური სწავლების სათანადოდ დასაგეგმად და განსახორციელებლად სამინისტრო არ ფლობს პროგრამის ბენეფიციარებისა და პოტენციური მოსარგებლეების შესახებ რელევანტურ, სრულ და ზუსტ ინფორმაციას. ამასთანავე, სსსმ მოსწავლეების შემფასებელი მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს, რიგ შემთხვევებში არ აქვთ მიღებული ინკლუზიურ სფეროსთან დაკავშირებული განათლება. გარდა ამისა, არ არის დანერგილი სსსმ მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების და სკოლების მიერ ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად გატარებული ღონისძიებების შეფასების მექანიზმები, რაც აფერხებს პროგრამის ეფექტიანად დანერგვის მაჩვენებლების სათანადოდ შეფასებას.

გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია სისტემის ფუნქციონირების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების სათანადოდ დანერგვას.

რეკომენდაციები სამინისტროს:

რეკომენდაცია N1: განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და სახსრების ეფექტიანად და პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტროს სამმართველოსა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ერთობლივად შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რის მიხედვითაც სსსმ მოსწავლის ჩარიცხვამდე შეფასდება სკოლის გარემო, პრიორიტეტების მიხედვით მოხდება სკოლების შერჩევა და შესაბამისად ეტაპობრივად მოხდება სკოლების სრული ადაპტაცია.

რეკომენდაცია N2: სსსმ მოსწავლეებისათვის სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, სპეციალურმა და იმ საგნის მასწავლებლებმა რომლებიც ასწავლიან სსსმ მოსწავლეებს, ინკლუზიური განათლების კუთხით აიმაღლონ კვალიფიკაცია ტრენინგების გზით. ტრენინგების ჩატარების პროცესი გაიწეროს დროში, რის მიხედვითაც განისაზღვრება პერიოდი რომლის განმავლობაშიც მოხდება მასწავლებლების სრული კონტიგენტის ეტაპობრივი გადამზადება.

რეკომენდაცია N3: იმისათვის რომ, სპეციალურ მასწავლებელს გაეზარდოს მოტივაცია აიმაღლოს კვალიფიკაცია, მნიშვნელოვანია სისტემამ შექმნას შესაბამისი მასტიმულირებელი ფაქტორები და მოხდეს მისი მასწავლებლად აღიარება, რაც დადებითად აისახება სსსმ მოსწავლეების სკოლის გარემოში ინტეგრირების პროცესზე.

რეკომენდაცია N4: იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლეებისათვის გაიზარდოს სათანადო ხარისხით განათლების ხელმისაწვდომობა, არსებული დაფინანსების მოდელის ნაკლოვანებების გათვალისწინებით მოხდეს მისი სისტემაზე სწორად მორგება. კერძოდ, მოხდეს დაფინანსების ოდენობის კალკულაცია, სადაც გაიმიჯნება ცვლადი და ფიქსირებული დანახარჯები, გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლეების მდგომარეობა და ინდივიდუალური საჭიროებები.

რეკომენდაცია N5: პროგრამის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ სხვადასხვა პასუხისმგებელ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, მოიპოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარებზე. ასევე უზრუნველყოს პროგრამით მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზების სისრულე და სიზუსტე, სადაც გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლის საჭიროებები, სკოლებში ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი მასწავლებლების გადამზადების მდგომარეობა და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა რელევანტური ინფორმაცია.

რეკომენდაცია N6: მულტიდისციპლინური გუნდის წევრების შერჩევისას, გათვალისწინებულ იქნეს მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა ინკლუზიური განათლების მიზნებთან, რათა საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სსსმ მოსწავლის საჭიროებების არასათანადოდ განსაზღვრის რისკები.

რეკომენდაცია N7: იმისათვის, რომ შეფასდეს სკოლებში პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მაჩვენებელი, საჭიროა დაინერგოს შესაბამისი შეფასების მექანიზმები, კერძოდ: ა)მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით განისაზღვროს სსსმ მოსწავლის ხელმეორედ შეფასებისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგის პერიოდი; ბ)დაინერგოს სკოლებში პროგრამის ეფექტიანად განხორციელების შეფასების მექანიზმი და სკოლებს შორის მოხდეს მიღწეული შედეგებისა დადებითი პრაქტიკის გაზიარება.

1. შესავალი

1.1. აუდიტის მოტივაცია

განათლების მიღება და მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა, რომლის უზრუნველყოფაც სახელმწიფოს მოვალეობაა[1]. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვა და სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2004 წლიდან აღიარებულია როგორც ქვეყნის პრიორიტეტი, რის ხელშესაწყობადაც 2006 წლიდან დაიწყო შესაბამისი რეფორმების გატარება.

ინკლუზიური განათლების დანერგვის მნიშვნელობაზე მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და სალამანკას დეკლარაცია - „ინკლუზიური განათლების შესახებ.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. მოცემული მიზნის მიხედვით, აღმოფხვრილი უნდა იყოს ყველა ის დაბრკოლება რაც ხელს უშლის განათლების ხელმისაწვდომობას განსხვავებული მდგომარეობის მიუხედავად[2].

დასახული მიზნის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ხდება სსსმ ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა.

2016 წელს, სკოლებში ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის მიზნით გახარჯულია დაახლოებით 11,000,000 ლარი, რომელიც სსსმ მოსწავლეების სასკოლო გარემოში ინტეგრირებას ემსახურება. აუდიტის პერიოდისთვის, ინკლუზიური განათლების სისტემის შეფასება სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა.

[1] საქართველოს კონსტიტუცია, თავი მეორე, მუხლი 35, პუნქტი 1.
[2] http://www.un.org/sustainabledevelopment/education/

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, რომლის ფარგლებშიც განათლებას იღებს 6,254 სსსმ მოსწავლე, აქტუალურ პრობლემად რჩება განათლების მიღმა დარჩენილი სსსმ ბავშვები, რომელთა ზუსტი რაოდენობა სამინისტროსთვის არ არის ცნობილი.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს ინკლუზიური სწავლების ეფექტიანად განხორციელების რისკებზე. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, სისტემის გაუმჯობესება, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ, განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

1.2. აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები

აუდიტის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შეფასება.

აუდიტის კითხვებად განისაზღვრა შემდეგი:

რამდენად პროდუქტიული და ეფექტიანია სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშესაწყობად?

1. რამდენად უზრუნველყოფს სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურული გარემო და ადამიანური რესურსები ინკლუზიური განათლების ეფექტიანად და პროდუქტიულად დანერგვის შესაძლებლობას?
2. რამდენად პროდუქტიულად ნაწილდება თანხები სკოლებს შორის ინკლუზიური სწავლების დაფინანსების არსებული მოდელის მიხედვით?
3. რამდენად უზრუნველყოფს პროგრამის მართვის არსებული მექანიზმები სკოლებში ინკლუზიური განათლების ეფექტიანად დანერგვას?

1.3. აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მის კონტროლს დაქვემდებარებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

აუდიტის პერიოდად განისაზღვრა 2015-2016 წლები. ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებულია აუდიტის წინა და შემდგომი პერიოდის მონაცემები.

საკითხების შესასწავლად აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა აუდიტის შემდეგი მეთოდები:

- მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- პროგრამების მართვის და ადმინისტრირების პროცედურების ანალიზი;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად განხორციელდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

1. **რამდენად უზრუნველყოფს სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურული გარემო და ადამიანური რესურსები ინკლუზიური განათლების ეფექტიანად და პროდუქტიულად დანერგვის შესაძლებლობას?** - აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა სკოლების ინფრასტრუქტურული გარემოსა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ამსახველი მონაცემთა ბაზების ანალიზი, განახორციელა 10 სკოლაში ვიზიტი სასწავლო პროცესზე დაკვირვების და ინფრასტრუქტურული გარემოს დათვალიერების მიზნით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდა 117 მასწავლებლის კვალიფიკაციის შესწავლა, ჩატარდა შესაბამის პირებთან ინტერვიუები, მარეგულირებელი, ნორმატიული ბაზისა და დოკუმენტაციის ანალიზი.
2. **რამდენად პროდუქტიულად ნაწილდება თანხები სკოლებს შორის ინკლუზიური სწავლების დაფინანსების არსებული მოდელის მიხედვით?** - კითხვაზე პასუხის გასაცემად აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა ფინანსური მოდელისა და მასთან დაკავშირებული სტატისტიკის ანალიზი, პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები,

შეისწავლა სკოლების გეოგრაფიული განლაგება და მათში ჩარიცხული სსსმ მოსწავლეების რაოდენობა, მოხდა საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა, დაფინანსების მოდელის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტებისა და დოკუმენტაციის ანალიზი.

3. **რამდენად უზრუნველყოფს პროგრამის მართვის არსებული მექანიზმები სკოლებში ინკლუზიური განათლების ეფექტიანად დანერგვას?** - აუდიტის ჯგუფმა განახორციელა სსსმ მოსწავლეების მონაცემთა ბაზების ანალიზი და ჩაატარა პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდა მულტიდისციპლინური გუნდის 47 წევრის კვალიფიკაციის შესწავლა, ამავე გუნდის მიერ მომზადებული 292 სსსმ მოსწავლის შეფასებისა და ყოველთვიური საქმიანობის 88 ანგარიშის გაცნობა.

1.4. აუდიტის კრიტერიუმები

სისტემის პროდუქტიულად და ეფექტიანად ფუნქციონირების შეფასების მიზნით, აუდიტის პროცედურების ჩატარებისას გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- გაეროს კონვენციები და დეკლარაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები;
- შესაბამისი უწყებების სამოქმედო გეგმები;
- საერთაშორისო პრაქტიკა.

გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.“ - კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა სხვა ბავშვების თანასწორად ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის ინტერესები[3]. კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლების მიღებაზე. ამ უფლების რეალიზებისათვის მონაწილე სახელმწიფოები

[3] გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2.

უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობას[4].

სალამანკას დეკლარაცია „ინკლუზიური განათლების შესახებ.“ – სალამანკას დეკლარაცია ინკლუზიური განათლების შესახებ მიღებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების ხელშეწყობის მიზნით.[5] დეკლარაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის აუცილებლობას ითვალისწინებს და ეხება იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც გულისხმობს განათლების მიღებას სასკოლო დაწესებულებებში[6].

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - სტანდარტი მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებების, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ჩამონათვალის ერთობლიობაა. იგი არის მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი სტატუსისა და თანამდებობის მასწავლებელი. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით რეგულირდება სპეციალური მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები, პროფესიული ცოდნა და ვალდებულებები[7].

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ - კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

- ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

[4] გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, მუხლი 24
[5] სალამანკას დეკლარაცია, მუხლი 37.
[6] სალამანკას დეკლარაცია, მუხლი 43-46.
[7] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 74-79.

› ინკლუზიური განათლების დანერგვას და ა. შ[8].

სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების მიღების უფლებას[9].

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე - ტექნიკური რეგლამენტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. ასევე, მათთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში[10].

აღნიშნული რეგულაციით, შენობა-ნაგებობების პროექტირებასა და მშენებლობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ის მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია ბენეფიციარებისათვის. ამ პირობების შესასრულებლად საჭიროა მოეწყოს შედარებით განიერი გასასვლელები, დერეფნები, პანდუსები შენობა-ნაგებობების შესასვლელებში, ლიფტები ფართო კაბინებით. შენობა-ნაგებობების დაპროექტება მიზანშეწონილია განხორციელდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 მარტის ბრძანება N20/ნ, „საჯარო სკოლებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ – აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისათვის დამატებითი

[8] კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 3, პუნქტი 2.
[9] კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 7.
[10] მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი, მუხლი 1, პუნქტი 1.

დაფინანსების გამოყოფის წესი[11]. სამინისტრო ყოველთვიურად ახდენს საჯარო სკოლებისათვის დამატებითი დაფინანსების გადარიცხვას, რასაც სკოლა იყენებს სსსმ მოსწავლეების საჭირო პირობებით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2016 წლის 20 იანვრის ბრძანება N31, „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის მიზანს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სასწავლო პროცესში ინტეგრირება და განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია და შეფასება, ასევე მათი ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრა.

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება 5 ძირითადი ქვეპროგრამით, რაც ემსახურება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ მოსწავლეებზე მორგებული ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებას, სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების ფორმალურ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობას, მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურებით უზრუნველყოფას და ინკლუზიური საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას.

[11] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N20/ნ, საჯარო სკოლებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე, 2016 წლის 9 მარტი, მუხლი 1.

2. ზოგადი ინფორმაცია

ინკლუზიური განათლების სისტემა იმართება სამინისტროს მიერ, სადაც ფუნქციები დელეგირებულია სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებზე.

ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო - რომელიც დაქვემდებარებულია სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს, ახორციელებს **„ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამას.** პროგრამის ფარგლებში, სამმართველო შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების სტრატეგიას, ახორციელებს და კონტროლს უწევს მიმდინარე საქმიანობას[12].

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველო - უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნას, რომელიც თანხვედრაში იქნება ინკლუზიური განათლების მიზნებთან.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენრი - პასუხისმგებელია მასწავლებლების ინკლუზიური განათლების სფეროში ტრენინგებით უზრუნველყოფაზე.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სასწავლო პროცესში ინტეგრირება, განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა და მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა.

პროგრამის ბენეფიციარები არიან **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები**. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვები, სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე სკოლის მოსწავლეები[13].

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას[14].

---

[12] საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

[13] გარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისა, პროგრამის დანარჩენი ბენეფიციარები არ ხვდებიან აუდიტის მასშტაბში.

[14] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თავი პირველი, მუხლი 2, პუნქტი უ - ინკლუზიური განათლება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (სსსმ), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება[15]. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც გააჩნია შემდეგი სიძნელეები:

სქემა N 2.1. *სიძნელეები რომლებიც შესაძლოა გააჩნდეს სსსმ მოსწავლეს*

2016 წლის დეკემბრის მონაცემებით **პროგრამაში ჩართულია 6,254 მოსწავლე,** რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის **1,235 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში** იღებენ განათლებას.

[15] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თავი პირველი, ზოგადი დებულებანი, მუხლი 2, პუნქტი ჩ[2]

სქემა N 2.2. *პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რეგიონული განაწილება*

ბიუჯეტი: 2016 წელს სკოლებში ინკლუზიური სწავლების ხელშესაწყობად ზოგადი განათლების მიმართულებით გახარჯულია 11,118,592 ლარი, საიდანაც 6,771,800 ლარი მიმართულია სკოლებში სსსმ ბავშვების სწავლებისთვის დამატებით ვაუჩერულ დაფინანსებაზე, 3,260,335 ლარი სპეციალური სკოლების დასაფინანსებლად, ხოლო 1,086,457 ლარი ინკლუზიური სწავლების პროგრამის განხორციელების ხარჯებია. 2015 წელს ანალოგიური მიზნით გახარჯულია 8,352,830 ლარი, საიდანაც 4,663,665 ლარი მიმართულია დამატებით ვაუჩერულ დაფინანსებაზე, 2,745,533 ლარი გახარჯულია სპეციალური სკოლების დასაფინანსებლად, ხოლო 943,632 გამოყოფილია პროგრამის განსახორციელებლად.

გრაფიკი N2.1. სამინისტროს მხრიდან ინკლუზიურ სწავლებაზე გახარჯული თანხები[16]



ზემოთმოცემული ბიუჯეტის გარდა, ინკლუზიური განათლების მიზნების მისაღწევად, გამოყოფილია ფინანსური რესურსი სკოლებში შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემოს უზრუნველყოფისა და მოცემულ სფეროში მასწავლებელთა პროფესიული გადამზადებისათვის.

ინკლუზიური განათლების განმახორციელებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, მოსწავლისთვის განკუთვნილი სტანდარტული ვაუჩერული დაფინანსების გარდა, გამოეყოფათ დამატებითი წლიური დაფინანსება სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის შემდეგი ოდენობით:

ცხრილი N 2.1: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის დაფინანსების ოდენობა

სსსმ მოსწავლეების რაოდენობა	დამატებითი წლიური დაფინანსება
1-6	4,200
7-13	8,400
14-23	12,600
>23	16,800

[16] მოცემული ბიუჯეტი არ შეიცავს ზოგადსაგანმანათლებლო სკლებში ინკლუზიური განათლების მიზნებთან შესაბამის ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მასწავლებლების გადამზადების ხარჯებს.

დაფინანსებას სკოლა უნდა იყენებდეს სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის ყველა საჭირო პირობის შესაქმნელად, რათა მოსწავლეს დაუბრკოლებლად შეეძლოს განათლების მიღება.

სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირება ხდება სამინისტროსთვის მოსწავლის მშობლის ან სკოლის მიმართვის საფუძველზე. მოსწავლეს აფასებს სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური გუნდი, რის საფუძველზეც მასწავლებლისა და მშობლის ჩართულობით და გუნდის წევრების რეკომენდაციით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოადგენს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულ სასწავლო დოკუმენტს, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია[17].

სქემა N 2.3. *სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა*



[17] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თავი პირველი, ზოგადი დებულებანი, მუხლი 2, პუნქტი ყ.

სსსმ მოსწავლეებისთვის, გარდა კლასში მომუშავე საგნის მასწავლებლისა, გამოყოფილია სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს დაძლიოს აკადემიური პროგრამა და ინტეგრირდეს სკოლის გარემოში თანატოლებთან ერთად.

როდესაც სკოლა ან მშობელი ჩათვლის რომ მოსწავლეს აღარ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და მზადაა დაძლიოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა, სკოლის ან მშობლის მიმართვის საფუძველზე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ხდება მისი განმეორებით შეფასება და სტატუსის გაუქმება, რის საფუძველზეც მოსწავლე სწავლას განაგრძობს ეროვნული სასწავლო გეგმით.

აუდიტის მიგნებები

3. ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად დანერგილი მექანიზმების ნაკლოვანებები

3.1. სკოლებში ინფრასტრუქტურული გარემოს ნაკლოვანებები

სსსმ მოსწავლეებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი წინაპირობაა სკოლებში შესაბამისი ფიზიკური გარემოს შექმნა. არსებული პროცესი რეგულირდება როგორც მთავრობის დადგენილებით[18] და სამინისტროს სამოქმედო გეგმით,[19] ასევე გათვალისწინებულია გაეროს კონვენციით - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ[20].“

იმისათვის, რომ სკოლა ჩაითვალოს ადაპტირებულად (სსსმ მოსწავლეს შეეძლოს სასწავლო პროცესში დაუბრკოლებლად ინტეგრირება), აუცილებელია, აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა გააჩნდეს პანდუსი, ლიფტი, ადაპტირებული სანიტარული კვანძები, მორგებული საკლასო და რესურს ოთახები. ამასთანავე, სკოლები აღჭურვილი უნდა იყოს სხვადასხვა სენსორული დარღვევების მქონე სსსმ მოსწავლეებისათვის აუცილებელი პირობებით[21].

სკოლის ფიზიკური გარემოს ადაპტირებაზე ზრუნავს სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც წლიური გეგმის საფუძველზე ახდენს სკოლების რეაბილიტაციას. სააგენტო წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით აფასებს სკოლების მდგომარეობას, რომლის საფუძველზეც პრიორიტეტების მიხედვით დგება სარეაბილიტაციო სკოლების რიგითობა.

---

[18] მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

[19] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N527, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, ქვე-პროგრამა 2.5.

[20] გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა შესახებ“, თავი 9.

[21] მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

2016 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში **624 საჯარო სკოლაში** მოწყობილია პანდუსი, რისთვისაც საშუალოდ გაიხარჯა **190,844 ლარი**, **26 საჯარო სკოლაში** დამონტაჟებულია ლიფტი, რაზეც საშუალოდ მიიმართა **1,090,856 ლარი**, **440 საჯარო სკოლაში** ადაპტირებულია სანიტარული კვანძები, რაც დაახლოებით **1,159,013 ლარს** ითვალისწინებდა. ჯამში, სამივე კომპონენტის მოწყობაზე სხვადასხვა სკოლაში გაიხარჯა დაახლოებით **2,440,713 ლარი**,[22] რისი კონკრეტულ სკოლებზე მიმართვის შემთხვევაში, ნაცვლად სხვადასხვა სკოლაში ცალკეული კომპონენტის მოწყობისა, შესაძლებელი იქნებოდა **54 სკოლის** ინფრასტრუქტურული გარემოს სრულად[23] აღჭურვა.

სქემა N 3.1.1 *ქვეყნის მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფრასტრუქტურის მდგომარეობა*

[22] ცალკეული კომპონენტის ერთეულის ღირებულება გასაშუალოებული მაჩვენებლია და დაანგარიშებულია სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.
[23] იგულისხმება ტექსტში განხილული კომპონენტები: პანდუსი, ლიფტი და სანიტარული კვანძები.

სკოლებში ცალკეული კომპონენტების მოწყობა ვერ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისთვის განათლების სრულად ხელმისაწვდომობას და მხოლოდ ერთი ან ორი ელემენტის არსებობის შემთხვევაში, შენობაში ეტლით მოსარგებლე მოსწავლე ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად, რაც აფერხებს განათლების პროცესში მათ ინტეგრირებას.

არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც პროგრამაში ჩართულ სკოლებს შორის მანძილი მცირეა (ქვემოთ მოცემულ მაგალითებში უმეტეს შემთხვევებში საშუალოდ 0,5-1 კმ-ს უტოლდება), ხოლო, თითოეულ მათგანში ჩარიცხულია სსსმ მოსწავლეების ერთეული რაოდენობა, სკოლის გარემო კი, ვერ აკმაყოფილებს აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნებს.

მაგალითისთვის წარმოდგენილია რამდენიმე შემთხვევა:

მაგალითი N1

ქალაქ კასპში, 4კმ-ის მანძილზე განთავსებულია 4 საჯარო სკოლა, სადაც ჯამში ირიცხება 10 სსსმ მოსწავლე. მოცემული სკოლებიდან, 2 მათგანში განათლებას იღებენ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები. სრულად ადაპტირებული ინფრასტრუქტურული გარემო არც-ერთ სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი, ხოლო, სხვადასხვა სკოლაში მოწყობილია მხოლოდ ცალკეული კომპონენტები, როგორიცაა მაგალითად პანდუსი.

მაგალითი N2

ქალაქ ფოთში, 10 საჯარო სკოლაში განათლებას იღებს ჯამში 27 სსსმ მოსწავლე. მოცემული სკოლებიდან, 3 მათგანში ჩარიცხულია ეტლით მოსარგებლე 6 მოსწავლე, ინფრასტრუქტურა[24] კი მხოლოდ ერთ სკოლაშია მოწყობილი. ადაპტირებულ და არაადაპტირებულ სკოლებს შორის მანძილი 2,1 კმ-ს შეადგენს.

მაგალითი N3

ძველი თბილისის ერთ-ერთ პუნქტში, 2,7 კმ მანძილზე განთავსებულია 4 საჯარო სკოლა. მოცემულ სკოლებში განათლებას იღებს ჯამში 36 მოსწავლე, რომლებიც განაწილებულნი არიან შემდეგი პროპორციულობით: სკოლა N1- 24 მოსწავლე, სკოლა N2- 2 მოსწავლე, სკოლა N3- 2 მოსწავლე, სკოლა N4 – 8 მოსწავლე.



ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები ირიცხებიან 2 სკოლაში (N1 და N2 სკოლებში), ადაპტირებული კი მხოლოდ მხოლოდ 1 მათგანია, ხოლო მათ შორის მანძილი 750 მ-ს შეადგენს. ასევე, აღსანიშნავია, რომ მოცემულ პუნქტში, 550 მეტრის დაშორებით,

[24] სანიტარული კვანძი და პანდუსი.

განთავსებულია 2 სკოლა, სადაც განათლებას იღებს სულ 4 სსსმ მოსწავლე, აქედან ეტლით მოსარგებლე 1 სსსმ მოსწავლე, ინფრასტრუქტურული გარემო კი არ არის ადაპტირებული.

მაგალითი N4

ქალაქ სამტრედიის 11 საჯარო სკოლაში, განათლებას იღებს 40 სსსმ მოსწავლე. მოცემული სკოლებიდან 3 საჯარო სკოლაში ირიცხებიან ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები, სადაც გარემო არ არის ადაპტირებული (მოწყობილია მხოლოდ პანდუსი) და შესაბამისად შეზღუდულია განათლების ხელმისაწვდომობა. ამავე ქალაქში, ინფრასტრუქტურა მოწყობილია 2 საჯარო სკოლაში, თუმცა ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები არ ირიცხებიან.

ანალოგიური მდგომარეობაა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, სადაც ახლომდებარე სკოლებში განათლებას იღებს სსსმ მოსწავლეების მცირე რაოდენობა, სკოლის გარემო კი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი.

ქვეყანაში არსებული **2, 082 საჯარო სკოლიდან** სათანადოდ ადაპტირებულია **17 საჯარო სკოლა**, რომელთაც გააჩნიათ ლიფტი, პანდუსი, მორგებული სანიტარული კვანძი და რესურს ოთახი. მოცემული **17 სკოლიდან** ეტლით მოსარგებლე მოსწავლე ირიცხება მხოლოდ **7 სკოლაში.**

ქვეყნის მასშტაბით, ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები ირიცხებიან 233 საჯარო სკოლაში. მოცემული 233 სკოლიდან, 101 სკოლას არ გააჩნია პანდუსი[25], 143 სკოლას - ადაპტირებული სანიტარული კვანძი, 75 - სკოლას კი არც პანდუსი და არც სანიტარული კვანძი, რაც შეუძლებელს ხდის დამოუკიდებლად გადაადგილებას ეტლით მოსარგებლე მოსწავლისათვის.

[25] 101 სკოლიდან, რომელსც არ აქვს პანდუსი, 12 სკოლას აქვს მარტივი ადაპტაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ პანდუსის გარეშეც შესაძლებელია ეტლით მოსარგებლისათვის შენობაში შესვლა.

გრაფიკი N 3.1.1 *სკოლების რაოდენობა სადაც არ არის მოწყობილი პანდუსი და სანიტარული კვანძი და ირიცხებიან ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები*



არსებული გარემოება ქმნის რისკს, რომ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები ვერ შეძლებენ მიიღონ სასკოლო განათლება სათანადოდ, იმის მიუხედავად რომ ამ პირობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მხრიდან გახარჯულია სახსრები.

თუ მოსწავლეს არ აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების პრობლემა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება გამოვლენილია სხვა ფორმით, ამ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი მდგომარეობის საპასუხოდ გარემოს მორგება და სკოლაში რესურსოთახის მოწყობა რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე უნდა აღიჭურვოს სხვადასხვა საშუალებით, რაც მოსწავლეს დაეხმარება დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინტეგრირდეს სკოლის გარემოში.

ქვეყნის მასშტაბით - 1,235 საჯარო სკოლაში ჩარიცხულია 6,254 სსსმ მოსწავლე, საიდანაც 312 სკოლას - 25%-ს, რომელშიც ირიცხება 883 მოსწავლე არ აქვს რესურს ოთახი.

სქემა N 3.1.2. *ინფრასტრუქტურული გარემოს მდგომარეობა იმ სკოლებში სადაც ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები*[26]



აღნიშნული პრობლემების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს კონტროლის მექანიზმის არარსებობა, რომლის მეშვეობითაც სსსმ მოსწავლის სწავლების მიზნით, სკოლისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფამდე უნდა ფასდებოდეს რამდენად ადაპტირებულია ინფრასტრუქტურული გარემო და შესაძლებელია თუ არა სსსმ მოსწავლისთვის მოცემულ სკოლაში განათლების მიღება. ამასთანავე, იკვეთება სამმართველოსა და სააგენტოს შორის სკოლების რეაბილიტაციისას კოორდინაციის ნაკლებობის რისკები, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნებოდა სკოლებში ინკლუზიური სწავლების დანერგვის ხელშეწყობის მნიშვნელობა.

ფიქსირდება საპირისპირო შემთხვევებიც, როცა მოცემული მომენტისთვის სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე და მოწყობილია რესურს ოთახი. ასევე, 183 სკოლას მოწყობილი აქვს

[26] 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემები.

პანდუსი და სანიტარული კვანძი, მაგრამ არ ჰყავს არც ერთი ეტლით მოსარგებლე მოსწავლე. სკოლაში მოსწავლის არარსებობის ერთ-ერთ მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ რიგ სკოლებში საკლასო ოთახები იმგვარადაა განლაგებული რომ ლიფტის გარეშე შეუძლებელია გადაადგილება, შესაბამისად მხოლოდ პანდუსის და სანიტარული კვანძების ადაპტირება არ არის საკმარისი პირობა.

სქემაN3.1.3. *ინფრასტრუქტურული გარემოს მდგომარეობა იმ სკოლებში სადაც არ ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები*



აღსანიშნავია, რომ პროგრამით სარგებლობისთვის მოსწავლეს შეუძლია მიმართოს ქვეყანაში არსებულ ნებისმიერ სკოლას მიუხედავად სკოლის შესაბამისი მზადყოფნისა, სამინისტრო კი ვალდებულია სკოლას გამოუყოს განსაზღვრული დაფინანსება. ერთი შეხედვით, ის ფაქტი რომ სსსმ მოსწავლეს აქვს შესაძლებელობა მიმართოს ქვეყანაში მოქმედ ნებისმიერ სკოლას, უნდა ზრდიდეს განათლების ხელმისაწვდომობას, მაგრამ, მოცემულ პირობებში, ვერ ხდება ყველა სკოლის სათანადოდ ადაპტირება.

შედეგად, ერთი მხრივ, არსებობს სკოლები რომელთა რეაბილიტაციის დროსაც მოწყობილია მხოლოდ ცალკეული კომპონენტები და მათ არ ჰყავთ სსსმ - მათ შორის ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები. მეორე მხრივ, ფიქსირდება სკოლები სადაც ირიცხებიან სსსმ - მათ შორის ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები და გარემო არ არის ადაპტირებული, რაც იწვევს

პროგრამით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის განათლების ხელმისწავდომობის შეზღუდვას. აღნიშნული ზრდის ფინანსური რესურსის არაპროდუქტიულად და არაეფექტიანად განკარგვის რისკს.

გონივრულ ვადაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრული კონტიგენტისათვის გარემოს შესაფერისი ადაპტირებით, შესაძლებელი იქნება არსებული რესურსის უფრო ოპტიმალურად და პროდუქტიულად გამოყენება. ამავდროულად შესაძლებელია სსსმ მოსწავლეების სკოლებში ისეთნაირად ინტეგრირება, რომ არ შეიზღუდოს მათთვის ხელმისაწვდომობა და შეძლონ სახლთან ახლოს განათლების მიღება. კერძოდ, ეტაპობრივად, სამინისტროს მიერ ფინანსური რესურსის, კონკრეტულ სკოლებზე მიმართვით, სსსმ მოსწავლეები მათი საცხოვრებელი ადგილების შესაბამისად, განათლებას მიიღებენ ისეთ სკოლებში, რომლებიც შეძლებენ მათ უზრუნველყოფას ყველა საჭირო პირობით.

3.2. ინკლუზიური განათლების კუთხით მასწავლებლების გადამზადების ნაკლოვანებები

სკოლებში ინკლუზიური სწავლების სრულყოფილად დანერგვის მიზნით ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მასწავლებლების მზადყოფნა სსსმ მოსწავლის მისაღებად. სალამანკას დეკლარაცია - „ინკლუზიური განათლების შესახებ“ მიუთითებს ინკლუზიური სწავლების კუთხით მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობაზე ტრენინგების გავლის გზით ან მოცემულ სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის ფლობის აუცილებლობაზე[27].

ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით, სპეციალურ მასწავლებელს აქვს ვალდებულება გააჩნდეს აკადემური ხარისხი[28], მაგრამ არ არსებობს აუცილებლობა, რომ კვალიფიკაცია ჰქონდეს შესაბამის სფეროში. აუდიტის ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ქვეყნის მასშტაბით, შეისწავლა 117 სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაცია. შერჩეული ერთობლიობიდან აკადემიური ხარისხი გააჩნდა დიდ უმრავლესობას - 95%-ს, მაგრამ

[27] სალამანკას დეკლარაცია „ინკლუზიური განათლების შესახებ“, საგანმანათლებლო პერსონალის დაქირავებისა და გადამზადების შესახებ.
[28] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თავი 2, მუხლი 21[3], პუნქტი 3.

ინკლუზიურ სფეროსთან დაკავშირებულ დარგში[29] კვალიფიკაცია მხოლოდ 44 მათგანს- 38%-ს ჰქონდა მიღებული. დანარჩენი მასწავლებლები, აკადემიურ ხარისხს ფლობდნენ სხვადასხვა დარგში - ძირითადად გააჩნდათ მასწავლებლის კვალიფიკაცია, თუმცა იკვეთება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არსებული აკადემიური ხარისხი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს[30]. მსგავსი შემთხვევები ფიქსირდება არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო, არამედ სპეციალურ სკოლებშიც.

მასწავლებლების ინკლუზიური სწავლების ტრენინგებით უზრუნველყოფას ახდენს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობის მიღება და კვალიფიკაციის ამაღლება შეუძლია ნებისმიერ მასწავლებელს სურვილის შემთხვევაში. ხოლო, ტრენინგის გავლის ვალდებულება არ არსებობს იმ საგნის მასწავლებლებისთვისაც კი რომლებიც უკვე ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. ტრენინგის გავლის ვალდებულება არც სპეციალურ მასწავლებელს გააჩნია, რომელიც დახმარებას უწევს სსსმ მოსწავლეს სწავლის პროცესში დაძლიოს სირთულეები და ინტეგრირდეს სკოლის გარემოში.

მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, ქვეყნის მასშტაბით 1,235 სკოლიდან, სადაც ირიცხება 6,254 სსსმ მოსწავლე, ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგი გავლილი აქვს 719 სკოლის მასწავლებელს[31] რომლებიც ასწავლიან 4,665 მოსწავლეს, ხოლო 516 სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან 1,589 მოსწავლეს არ აქვთ გავლილი ტრენინგი.

იკვეთება საპირისპირო შემთხვევებიც, ქვეყანაში ფიქსირდება ისეთი 43 სკოლა სადაც დასაქმებულ 239 მასწავლებელს აქვს გავლილი ტრენინგი, მაგრამ სკოლაში არ ირიცხება არც ერთი სსსმ მოსწავლე.

---

[29] ინკლუზიური განათლება, ფსიქოლოგია, დეფექტოლოგია, კორექციული პედაგოგიკა, განათლების ბაკალავრი.

[30]აგროინჟინერი, ეკონომისტი, ექიმ-სტომატოლოგი, ინჟინერი, იურისტი, მეცხოველეობის სპეციალისტი, თარჯიმანი, ჟურნალისტი, სუბტროპიკული მეურნეობის აგრონომი, საოფისე პროგრამების ოპერატორ-მენეჯრი.

[31] იგულისხმება როგორც სპეციალური ასევე საგნის მასწავლებლები.

გრაფიკი N3.2.1. *სკოლების რაოდენობა გადამზადებული მასწავლებლების მიხედვით*



სპეციალური მასწავლებლის როლი მნიშვნელოვნად განაპირობებს სსსმ მოსწავლის სკოლის გარემოში სრულყოფილად ინტეგრირებას. არ არსებობს დანერგილი სტანდარტი, რომელიც დაარეგულირებდა სკოლებში სპეციალური მასწავლებლების ოპტიმალურ რაოდენობას სსსმ მოსწავლეების რაოდენობასთან დაკავშირებით. არსებული პრაქტიკით, სკოლების მიხედვით განსხვავებულია სპეციალური მასწავლებლების რაოდენობა მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებაში, რაც ავტომატურად მიბმულია დაფინანსების მოდელზე და არა სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე.

გადამზადებული მასწავლებლების ნაკლებობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არ არსებობს მასწავლებლებისთვის ტრენინგის გავლის აუცილებლობა. გარდა ამისა, სპეციალური მასწავლებლები არ არიან ჩართული „მასწავლებლის საქმინაობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“, რაც ნიშნავს იმას რომ ვერ სარგებლობენ მასწავლებლისათვის განკუთვნილი ყველა უფლებით. აღნიშნული ფაქტორი ამცირებს მათ მოტივაციას აიმაღლონ კვალიფიკაცია. ამასთანავე, ტრენინგების ჩატარების პროცესი არ არის დაყოფილი პრიორიტეტებად, არ ხდება იმ ფაქტის გათვალისწინება რომელ სკოლას აქვს მეტი საჭიროება ჰყავდეს ინკლუზიური მიმართულებით გადამზადებული მასწავლებელი კონკრეტული მომენტისთვის და მასწავლებლების სრული კონტიგენტის გადამზადების პროცესი არ არის დროში გაწერილი.

შესაბამისად, არსებობს რისკი რომ სსსმ მოსწავლეები მოხვდებიან ისეთ სკოლებში სადაც არ არის გადამზადებული მასწავლებელი და პირიქით - გადამზადებულ მასწავლებელს არ ექნება საშუალება ასწავლოს სსსმ მოსწავლეს, რაც გავლენას იქონიებს სწავლების ხარისხზე.

დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების სათანადო ხარისხით დასანერგად აუცილებელი პირობაა სკოლის გარემოსა და დასაქმებული კადრების მზადყოფნა სსსმ მოსწავლის მისაღებად.

სკოლებში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვისას არ ხდება გარემოსა და შესაბამისი მზადყოფნის შეფასება. სკოლებში სსსმ მოსწავლეებისათვის ინფრასტრუქტურული გარემოს მოწყობისას, სამინისტროს პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს შორის არ ხდება საკითხის სათანადო კოორდინაცია, პრიორიტეტების განსაზღვრა და გათვალისწინება. შედეგად, გვაქვს ისეთი სკოლები სადაც სსსმ მოსწავლე ჩარიცხულია, სკოლას კი არ გააჩნია ინკლუზიური განათლებისათვის შესაფერისი გარემო - რაც ზღუდავს ხელმისაწვდომობას, ხოლო, სამინისტროს მხრიდან გამოყოფილია დაფინანსება არსებული რეგულაციების შესაბამისად, რაც ზრდის თანხების არაპროდუქტიულად და არაეფექტიანად განკარგვის რისკს.

არსებული რეგულაციებით სპეციალური მასწავლებლებისთვის ინკლუზიური განათლების შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხის ფლობის უგულებელყოფა, ტრენინგების მეშვეობით კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულების არ ქონა როგორც სპეციალური ასევე საგნის მასწავლებლებისთვის და სისტემის მიერ სპეციალური მასწავლებლის როლის სათანადოდ არ აღიარება ზრდის რისკს რომ სსსმ მოსწავლისთვის სწავლების პროცესი ვერ წარიმართება სათანადოდ.

რეკომენდაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და სახსრების ეფექტიანად და პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტროს სამმართველოსა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ერთობლივად შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რის მიხედვითაც სსსმ მოსწავლის ჩარიცხვამდე შეფასდება სკოლის გარემო, პრიორიტეტების მიხედვით მოხდება სკოლების შერჩევა და შესაბამისად ეტაპობრივად მოხდება სკოლების სრული ადაპტაცია.
- სსსმ მოსწავლეებისათვის სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, სპეციალურმა და იმ საგნის მასწავლებლებმა რომლებიც ასწავლიან სსსმ მოსწავლეებს ინკლუზიური განათლების კუთხით აიმაღლონ კვალიფიკაცია ტრენინგების გზით. ტრენინგების ჩატარების პროცესი გაიწეროს დროში, რის მიხედვითაც განისაზღვრება პერიოდი რომლის განმავლობაშიც მოხდება მასწავლებლების სრული კონტიგენტის ეტაპობრივი გადამზადება.
- იმ მიზნით რომ, სპეციალურ მასწავლებელს გაეზარდოს მოტივაცია აიმაღლოს კვალიფიკაცია, მნიშვნელოვანია სისტემამ შექმნას შესაბამისი მასტიმულირებელი ფაქტორები და მოხდეს მისი მასწავლებლად აღიარება, რაც დადებითად აისახება სსსმ მოსწავლეების სკოლის გარემოში ინტეგრირების პროცესზე.

4. დაფინანსების მოდელის ნაკლოვანებები

სამინისტრო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს სსსმ მოსწავლეების სწავლებისთვის დამატებით ფინანსურ რესურსს გამოუყოფს მოსწავლეების რაოდენობრივი ჯგუფების[32] მიხედვით, რაც რეგულირდება მინისტრის ბრძანებით[33]. (იხ. ცხრილი N 4.1.1.)

სკოლა სამინისტროსგან იღებს თითოეული ჯგუფის ფარგლებში იდენტურ დამატებით დაფინანსებას, მასში მოსწავლეების რაოდენობის ზრდის ან შემცირების მიუხედავად. მაგალითად, თუ სკოლაში ირიცხება 1-დან 6-ის ჩათვლით სსსმ მოსწავლე სკოლა იღებს 4,200 ლარს, (მიუხედავად იმისა 1 მოსწავლე ჰყავს სკოლას თუ 6), 7-13 მოსწავლის შემთხვევაში – 8,400 ლარს, 14-23 მოსწავლეზე – 12,600 ლარს, 23-ზე მეტი მოსწავლის არსებობისას კი - 18,400 ლარს.

ცხრილი N4.1. *დაფინანსების მოდელის პირობებში ერთ მოსწავლეზე საშუალო დაფინანსების ოდენობა ჯგუფების მიხედვით*[34]

დამატებითი დაფინანსების მოდელი		
მოსწავლეების რაოდენობა	**თანხა (წლიური)**	**თანხა ერთ მოსწავლეზე**
1-6	4,200	700
7-13	8,400	647
14-23	12,600	548
>23	18,400	497

არსებული დაფინანსების ოდენობის კალკულაცია, სამინისტროს მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი, მსგავსი დოკუმენტის არარსებობის გამო, სადაც გაწერილი იქნებოდა ერთეულის ღირებულება თითოეული დარღვევის მიხედვით და რაოდენობრივი ჯგუფების

[32] პირველი ჯგუფი - სკოლები სადაც ირიცხება 1-6 მოსწავლე; მეორე ჯგუფი - სკოლები სადაც ირიცხება 7-13 მოწავლე; მესამე ჯგუფი - სკოლები სადაც ირიცხება 14-23 მოსწავლე; მეოთხე ჯგუფი - სკოლები სადაც ირიცხება 23 მოსწავლეზე მეტი.

[33] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 მარტის ბრძანება N20/ნ - „საჯარო სკოლებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“.

[34] ჯგუფებში მოსწავლეების რაოდენობა დათვლილია მაქსიმალური დატვირთვის პირობებში. მეოთხე ჯგუფის შემთხვევაში, მოსწავლეების მაქსიმალურ რაოდენობად აღებულია 37, ვინაიდან აუდიტის პერიოდში სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობა იყო 37, თუმცა თეორიულად დასაშვებია სკოლაში ირიცხებოდეს მეტი მოსწავლე.

შესაბამისად სკოლებისათვის განსაზღვრულ დაფინანსებაში ფიქსირებული და ცვლადი დანახარჯების წილი. შესაბამისად, იზრდება რისკი რომ მოცემული დაფინანსების ოდენობა არ არის მორგებული მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

2015-2016 წლების მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ არსებული დაფინანსების მოდელის მიხედვით, სკოლებისათვის გამოყოფილი თანხა მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებაში არ არის პროპორციულად განაწილებული. ამასთანავე, წლების მიხედვით ერთ მოსწავლეზე გაწეული საშუალო დანახარჯი განსხვავდება ერთმანეთისგან, ზღვრული დანახარჯი[35] ერთ მოსწავლეზე კი საგრძნობლად იზრდება პროგრამაში მოსწავლეების რაოდენობის მატებასთან ერთად.

ცხრილი N4.2. *2015-2016 წლებში სკოლების დაფინანსების და მოსწავლეების რაოდენობა*[36]

	2016 წელი	2015 წელი	ზრდა
სკოლების დაფინანსება	6,771,800	4,663,665	*2,108,135*
მოსწავლეების რაოდენობა	6,254	5,267	*987*
ხარჯი 1 მოსწავლეზე	**1,083**	**885**	
ზღვრული დანახარჯი 1 მოსწავლეზე			**2,136**

შესწავლილი იქნა 2015-2016 წლებში ჯგუფების მიხედვით სკოლებისთვის ყოველთვიურად გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებაში (იხ. დანართი). გამოვლინდა, რომ 2016 წელს სამინისტროს მიერ გამოყოფილი საშუალო თვიური თანხა ერთ მოსწავლეზე პირველი ჯგუფის სკოლებში 50%-ით მეტია მეორე ჯგუფის სკოლებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ყოველ მომდენო ჯგუფს შორის აღნიშნული ზრდა მცირდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, რომ 2016 წლის მდგომარეობით, საშუალოდ პირველი ჯგუფის 874 სკოლაში ირიცხებოდა 1-6 მოსწავლემდე, რომელთა ჯამური რაოდენობა **2,011**-ს, დაფინანსების ოდენობა კი თვეში - **305,958** ლარს შეადგენდა. იმავე პერიოდში, 7-13 ბავშვამდე

[35] ზღვრული დანახარჯი- მთლიანი დანახარჯის ნამატი, რომელიც დამატებითი ერთეულის (წარმოების) შედეგია.
[36] მონაცემები მოცემულია 2015-2016 წლების დეკემბრის თვის მდგომარეობით და ითვალისწინებს მხოლოდ სსსმ მოსწავლეების სწავლებისთვის განკუთვნილ დამატებით დაფინანსებას.

ირიცხებოდა მეორე ჯგუფის 220 სკოლაში, სადაც მოსწავლეების რაოდენობა **1,986**-ს, დაფინანსების ოდენობა კი თვეში - **154,058** ლარს შეადგენდა. მოსწავლეების რაოდენობების სხვაობა პირველ და მეორე ჯგუფებს შორის შეადგენდა **25-ს,** ხოლო განსხვავება დაფინანსების ოდენობაში - **151,900** ლარს, რაც ერთ მოსწავლეზე საშუალოდ **6,076** ლარს შეადგენს. შედეგად, პირველ ჯგუფში სკოლები ფინანსდებოდა 1 მოსწავლის მიხედვით, საშუალოდ თვეში **152** ლარით, მეორე ჯგუფში კი - **78** ლარით.

ცხრილი N4.3. *2016 წლის მდგომარეობით საშუალო თვიური დანახარჯის ოდენობა*

	2016 წელი-თვეების მიხედვით საშუალო მაჩვენებლები						
რაოდენობა	**ჯგუფი1**	**ჯგუფი2**	სხვაობა	**ჯგუფი3**	სხვაობა	**ჯგუფი4**	სხვაობა
სკოლა	874	220		74		19	
მოსწავლე	2,011	1,986	25	1,252	734	507	745
დაფინანსება	305,958	154,058	151,900	78,400	75,658	25,900	52,500
დანახარჯი 1 მოსწავლეზე	**152**	**78**		**63**		**51**	
დანახარჯის ნამატი ერთეულზე			6,076		103		70

მსგავსი სურათი ფიქსირდება 2015 წლის მონაცემების ანალიზისას. საშუალოდ, პირველი ჯგუფის 796 სკოლაში ირიცხებოდა **1,830** მოსწავლე, რაზეც გამოიყო **278,746** ლარი. ამავდროულად, მეორე ჯგუფის 183 სკოლაში ირიცხებოდა **1,623** მოსწავლე რაზეც მიიმართა **127,896** ლარი. პირველი ჯგუფის სკოლებში ირიცხებოდა **207** მოსწავლით მეტი, ხოლო დაფინანსება გაზრდილია **150,850** ლარით, რაც ერთ მოსწავლეზე საშუალოდ **729** ლარს შეადგენს. საშუალო თვიური დაფინანსება ერთ მოსწავლეზე პირველი ჯგუფის სკოლებში შეადგენს **152** ლარს, ხოლო მეორე ჯგუფის სკოლებში **79** ლარს.

ცხრილი N4.4. *2015 წლის მდგომარეობით საშუალო თვიური დანახარჯის ოდენობა*

	2015 წელი-თვეების მიხედვით საშუალო მაჩვენებლები						
რაოდენობა	**ჯგუფი1**	**ჯგუფი2**	სხვაობა	**ჯგუფი3**	სხვაობა	**ჯგუფი4**	სხვაობა
სკოლა	796	183		46		16	
მოსწავლე	1,830	1,623	207	750	873	426	324
დაფინანსება	278,746	127,896	150,850	48,563	79,333	21,700	26,863
დანახარჯი 1 მოსწავლეზე	**152**	**79**		**65**		**51**	
დანახარჯის ნამატი ერთეულზე			729		91		83

არსებული ნაკლოვანებების მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაფინანსება სკოლებში მიმართულია რაოდენობრივი ჯგუფების მიხედვით სადაც არ არის გამიჯნული ფიქსირებული და ცვლადი დანახარჯები. ამასთანავე, ისეთი სკოლები სადაც ირიცხება მხოლოდ ერთი სსსმ მოსწავლე შეადგენს 343-ს, რაც საერთო რაოდენობის **25%**-ია. შედეგად, არსებული მოდელის პირობებში, მოსწავლეების რაოდენობის უმნიშვნელო მატება იმ სკოლებში, სადაც მანამდე არ იყო არც ერთი სსსმ მოსწავლე, იწვევს ხარჯის მკვეთრ ზრდას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოცემული სკოლების დიდი ნაწილი ფუნქციონირებს სოფლებში, სადაც მოთხოვნა შესაძლოა იყოს შედარებით დაბალი.

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია ერთ სსსმ მოსწავლეზე გაწეული საშუალო დანახარჯი, სკოლებისთვის გამოყოფილი სახსრები უმეტეს შემთხვევაში, სრულად ხმარდება სპეციალური მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას. მოსწავლეების საჭირო პირობებით უზრუნველყოფა კი, გარდა სპეციალური მასწავლებლის დაქირავებისა, გულისხმობს სხვა ფაქტორებსაც, როგორიცაა რესურს-ოთახის სათანადოდ მოწყობა, საჭირო ინვენტარის შეძენა და ა.შ. შესაბამისად, არსებული მოდელი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს ინკლუზიური განათლებისთვის საჭირო ყველა პირობით.

დასკვნა

სსსმ მოსწავლისთვის ზოგადი განათლების დაუბრკოლებლად მისაღებად და ინკლუზიური სწავლებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის სწორად მისამართად, აუცილებელია, სკოლების სათანადო მომზადება. სკოლებისთვის გამოყოფილი დამატებითი დაფინანსების ოდენობის მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებაში არაპროპორციულად განაწილება და შესაბამისი დაფინანსების მოდელის კალკულაციის არარსებობა ზრდის ფინანსური რესურსის არაპროდუქტიულად განკარგვის და განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის რისკებს. ამასთანავე, დაფინანსებისას მოსწავლის ინდივიდუალური მდგომარეობისა და საჭიროებების უგულებელყოფა აფერხებს სკოლებში ინკლუზიური სწავლების წარმატებით დანერგვას.

რეკომენდაცია:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლეებისათვის გაიზარდოს სათანადო ხარისხით განათლების ხელმისაწვდომობა, არსებული დაფინანსების მოდელის ნაკლოვანებების გათვალისწინებით მოხდეს მისი სისტემაზე სწორად მორგება. კერძოდ, მოხდეს დაფინანსების ოდენობის კალკულაცია, სადაც გაიმიჯნება ცვლადი და ფიქსირებული დანახარჯები, გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლეების მდგომარეობა და ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროგრამის მართვის ნაკლოვანებები

5.1. საკმარისი ინფორმაციის არარსებობა

პროგრამის მართვისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა საჭირო ინფორმაციის სრული და ზუსტი სახით ფლობა. ინფორმაციის სათანადო ხარისხით არსებობა ქმნის მართებული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს და უზრუნველყოფს ეფექტიანი შეფასების სისტემის დანერგვას. სამმართველო, სსიპ განათლების საინფორმაციო სისტემების მართვის სააგენტოსთან და სხვა შესაბამის ერთეულებთან თანამშრომლობით აწარმოებს პროგრამის ბენეფიციარების მონაცემთა ბაზას, რომელიც ეფუძნება სკოლებიდან მიღებულ ინფორმაციასა და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებს. არსებულ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, ხორციელდება სკოლებისთვის სსსმ მოსწავლეების სწავლებისთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფა.

სქემა N 5.1.1. *სსსმ მოსწავლეების მონაცემთა ბაზის ფორმირების პროცესის მოდელი*



აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, მონაცემთა ბაზა არ იყო სრულყოფილად ფორმირებული, კერძოდ, ის არ შეიცავდა ისეთ მონაცემებს როგორიცაა: კონკრეტული მოსწავლის მდგომარეობა და საჭიროებები, ქვეყნის მასშტაბით არსებული სპეციალური მასწავლებლების ზუსტი რაოდენობა, სსსმ მოსწავლის ხელმეორედ შეფასების სავარაუდო თარიღი, თითოეულ სკოლაში ინფრასტრუქტურული გარემოს მდგომარეობა და ა.შ.

აღნიშნულ მონაცემებს ფლობენ სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვადასხვა ერთეულები, მაგრამ არ ხდება მისი ერთიანი სახით ფორმირება და კონსოლიდაცია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სისტემაში შემავალი სხვადასხვა უწყებიდან მიღებული ინფორმაცია უმეტეს შემთხვევაში განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც ზრდის მონაცემთა სიზუსტისა და სისრულის რისკს.

პროგრამის სწორად დასაგეგმად და ყოველწლიურად სკოლებში მისაღები მოსალოდნელი კონტინგენტის დასადგენად მნიშვნელოვანი წინაპირობაა განისაზღვროს პოტენციური ბენეფიციარები, მათი ასაკობრივი კატეგორიის, საჭიროებებისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია მოსალოდნელი მოთხოვნის რაოდენობის განსასაზღვრად, რათა ამის შესაბამისად მოხდეს სკოლების გარემოს სათანადო ადაპტირება.

სამინისტროს არ აქვს ინფორმაცია სკოლამდელი ასაკისა და სასკოლო განათლების მიღმა დარჩენილი სსსმ პირების რაოდენობის შესახებ, რომლებიც პროგრამის პოტენციური ბენეფიციარები არიან.

ინფორმაციის არასრულყოფილი სახით ფლობა და მონაცემთა ბაზის გაუმართაობა, ერთი მხრივ შეუძლებელს ხდის წინასწარ განისაზღროს იმ კონტინგენტის რაოდენობა და გეოგრაფიული განაწილება, რომელიც მომდევნო სასწავლო წლისთვის მიმართავს სამინისტროს პროგრამით სარგებლობისათვის და მეორე მხრივ, ზრდის რისკს, რომ სკოლებისთვის ფინანსური რესურსის გამოყოფა შესაძლოა მოხდეს არასწორად. აღნიშნული ფაქტორები ქმნის დაბრკოლებას სწორად დაიგეგმოს პროგრამა, მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გადამზადდნენ მასწავლებლები იმ სკოლებში, სადაც შესაძლოა გაიზარდოს მოთხოვნა.

5.2. მოსწავლის პროგრამაში ჩართვის ნაკლოვანებები

სსსმ მოსწავლის პროგრამაში ჩასართავად, სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლეს/პირს და განსაზღვრავს არსებობს თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, რის საფუძველზეც მოსწავლე/პირი თავისი მდგომარეობის შესაბამისად სწავლას განაგრძობს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ან მას ეძლევა რეკომენდაცია გადამისამართებულ იქნეს სპეციალიზებულ სკოლაში. გუნდი მოსწავლის შეფასების გარდა, რეკომენდაციას უწევს სპეციალურ მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას, მოსწავლისთვის შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც წარიმართება სასწავლო პროცესი.

მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობა რეგულირდება სამინისტროს მიერ შესაბამის წელს დამტკიცებული პროგრამითა და გუნდის წევრებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. გუნდის წევრების საკვალიფიკაციო ჩარჩო განისაზღვრება დებულებით რომელიც ამ დროისათვის ფორმირების პროცესშია, არ არის დამტკიცებული და შესაბამისად - ძალაში შესული. გუნდის წევრების ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, შეაფასოს მოსწავლის სასკოლო მზაობა, აკადემიური, სოციალური და შემეცნებითი უნარები,[37] მნიშვნელოვანია, რომ გუნდის წევრს ჰქონდეს განათლება მიღებული შესაბამის ან მომიჯნავე სფეროში.

გუნდის წევრების კვალიფიკაციის შესწავლით ჩანს, რომ 47 დასაქმებული წევრიდან მხოლოდ 34 მათგანი ფლობს ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის, კორექციული პედაგოგის, ექიმის და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სხვა პროფესიის აკადემიურ ხარისხს. დანარჩენ წევრებს არ გააჩნიათ მოცემულ სფეროსთან დაკავშირებული უმაღლესი განათლება, (თუმცა უმეტესობა ფლობს სხვადასხვა საგნის მასწავლებლის კვალიფიკაციას) რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს გუნდის მიერ სსსმ მოსწავლის შეფასების ხარისხზე. გუნდის წევრებს ინკლუზიურ განათლებაში გავლილი აქვთ ტრენინგები, მაგრამ აღნიშნული ვერ იქნება აკადემიური განათლების ჩამნაცვლებელი.

[37]ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა, „მულტიდისციპლინარული გუნდის ხელშეწყობა“, დანართი N1, მულტიდისციპლინარული გუნდის წევრის ფუნქციები და ვალდებულებები.

პროგრამისა და დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, მოსწავლის შეფასება უნდა ხდებოდეს გუნდურად[38], რათა საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე თავიდან იქნეს აცილებული ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება, რაც ხარისხის კონტროლის ერთგვარი მექანიზმია. აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა გუნდის მიერ გაკეთებული 292 სსსმ მოსწავლის შეფასების ანალიზი, რის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ 27%-ის შემთხვევაში შეფასებას აკეთებდა მხოლოდ ერთი წევრი, სადაც 6%-ის შემთხვევაში მოსწავლეს აფასებდა ინკლუზიურ სფეროსთან შეუსაბამო კვალიფიკაციის მქონე პირი, 63%-ის შემთხვევაში სსსმ მოსწავლეს აფასებდა ორი წევრი, სადაც 25%-ის შემთხვევაში გუნდის ორივე წევრს ინკლუზიური განათლების სფეროსთან შეუსაბამო კვალიფიკაცია ჰქონდა, ხოლო სამი წევრის მიერ გაკეთებული შეფასება ფიქსირდება მხოლოდ 10%-ის შემთხვევაში.

მოცემული ფაქტების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მულტიდისციპლინური გუნდის წევრების შერჩევისას საკმარისად არ ხდებოდა მათი კვალიფიკაციის გათვალისწინება. ასევე, არ არსებობს მოქმედი რეგულაცია რომელიც განსაზღვრავდა გუნდის წევრების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გარდა ამისა, იკვეთება რისკი, რომ სამინისტროს მიერ სათანადოდ არ ხორციელდება გუნდის მიერ გაკეთებული შეფასებების მონიტორინგი, რაც მიუთითებს დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე.

ზემოთ აღწერილი გარემოებები ზრდის რისკს, რომ სსსმ მოსწავლეების შეფასებისას სრულად ვერ მოხდება მათი ინდივიდუალური მდგომარეობისა და საჭიროებების სათანადოდ გათვალისწინება და შესაბამისად განათლების ხელშესაწყობად საჭირო პირობის შექმნა.

[38] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2016 წლის 20 იანვრის ბრძანება N31, ქვე-პროგრამა- „მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობა“, დანართი N1, მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციები და ვალდებულებები.

5.3. შედეგების შეფასების ნაკლოვანებები

პროგრამის ადმინისტრირებისას, დაგეგმვისა და განხორციელების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მიღწეული შედეგების გაზომვას, რათა შეფასდეს მოცემული მდგომარეობა და განისაზღვროს საჭირო ღონისძიებები მომავალი განვითარებისათვის.

სქემა N 5.3.1. *პროგრამის მართვის ეტაპები*

იმისათვის, რომ შეფასდეს რამდენად იქნა მიღწეული პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნები და შესაბამისად მოხდა თუ არა სკოლებში ინკლუზიური სწავლების ეფექტიანად დანერგვა, აუცილებელია მიმდინარეობდეს ერთი მხრივ, სკოლების მიერ ინკლუზიური სწავლების ხელშესაწყობად განხორციელებული აქტივობების ანალიზი და მონიტორინგი და მეორე მხრივ, გაიზომოს მოსწავლეების შედეგები და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დროული რეაგირება.

სსსმ მოსწავლის მიღწეული შედეგის შესაფასებლად მნიშვნელოვანია გარკვეული პერიოდის შემდეგ გუნდმა ხელმეორედ შეაფასოს მოსწავლე, რის შემდეგაც, შესაძლებელია მოსწავლისთვის სსსმ სტატუსის მოხსნა ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებისამებრ კორექტირება.

დღეისათვის, სსსმ მოსწავლის ხელმეორედ შეფასების ოპტიმალური ვადა არ არის განსაზღვრული. შედეგად, გუნდის მიერ მოსწავლის განმეორებით შეფასება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამინისტროს განმეორებითი შეფასებისთვის მიმართავს სკოლა ან მშობელი. სამინისტროს მიერ არ არის დანერგილი სსსმ მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების გაზომვის მექანიზმი. მოსწავლის აკადემიური პროგრესის შეფასება ხდება მხოლოდ სკოლების მიერ. აღნიშნული ზრდის რისკს, რომ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღმოფხვრა, ან ნებისმიერი მიღწეული შედეგი თუ პრობლემა

დროულად ვერ იქნება გამოვლენილი და შესაბისად ვერ მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განახლება, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლის პროგრესზე.

ამასთანავე, არ არსებობს რეგულაცია რომელიც დაავალდებულებს სკოლებს სამინისტროს წარუდგინონ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ამსახველი ანგარიშები, რაც საშუალებას მისცემდა დროულად აღმოფხვრილიყო ნაკლოვანებები და ამავდროულად მომხდარიყო სკოლებს შორის დადებითი პრაქტიკისა და მიღწეული შედეგების გაზიარება.

შედეგად, მოცემული ეტაპისთვის სრულად არ არის შესაძლებელი გაიზომოს სსსმ მოსწავლის მიღწეული შედეგების და სკოლებში ინკლუზიური სწავლების ეფექტიანად დანერგვის მაჩვენებელი.

დასკვნა

სამინისტროს მხრიდან პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ რელევანტური მონაცემების არასრული და არაზუსტი ფორმით ფლობა და პოტენციურ ბენეფიციარებზე ინფორმაციის არქონა, ქმნის პროგრამის არასათანადოდ დაგეგმვისა და განხორციელების რისკებს.

მულტიდისციპლინური გუნდის წევრების კვალიფიკაციის არასათანადოდ გათვალისწინება და სამინისტროს მხრიდან გუნდის მიერ განხორციელებული აქტივობების არასათანადო მონიტორინგი ზრდის რიკს, რომ სსსმ მოსწავლის შეფასებისას სრულყოფილად ვერ იქნება გათვალისწინებული მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები რაც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

სსსმ მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების და სკოლების მიერ ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად გატარებული ღონისძიებების შეფასების მექანიზმის არარსებობა, ქმნის რისკს, რომ სკოლებში პროგრამის ეფექტიანად დანერგვის მაჩვენებელი სათანადოდ ვერ იქნება შეფასებული, რაც უარყოფითად აისახება პროგრამის გაუმჯობესებასა და სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში უკეთ ინტეგრირებაზე.

რეკომენდაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- პროგრამის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ სხვადასხვა პასუხისმგებელ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, მოიპოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარებზე. ასევე უზრუნველყოს პროგრამით მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზების სისრულე და სიზუსტე, სადაც გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლის საჭიროებები, სკოლებში ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი მასწავლებელების გადამზადების მდგომარეობა და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა რელევანტური ინფორმაცია.
- მულტიდისციპლინური გუნდის წევრების შერჩევისას, გათვალისწინებულ იქნეს მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა ინკლუზიური განათლების მიზნებთან, რათა საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სსსმ მოსწავლის საჭიროებების არასათანადოდ განსაზღვრის რისკები.
- იმისათვის, რომ შეფასდეს სკოლებში პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მაჩვენებელი, საჭიროა დაინერგოს შესაბამისი შეფასების მექანიზმები, კერძოდ: ა)მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით განისაზღვროს სსსმ მოსწავლის ხელმეორედ შეფასებისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგის პერიოდი;
  ბ)დაინერგოს სკოლებში პროგრამის ეფექტიანად განხორციელების შეფასების მექანიზმი და სკოლებს შორის მოხდეს მიღწეული შედეგებისა და დადებითი პრაქტიკის გაზიარება.

ბიბლიოგრაფია

მოქმედი კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 მარტის ბრძანება N20/ნ, „საჯარო სკოლებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე.“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N527, „საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2016 წლის 20 იანვრის ბრძანება N31, „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

საერთაშორისო რეგულაციები და წყაროები

გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.“

სალამანკას დეკლარაცია „ინკლუზიური განათლების შესახებ.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნები -

http://www.un.org/sustainabledevelopment/education/

აუდიტორთა ხელმოწერა:

უფროსი აუდიტორი		მარიამ ზაალიშვილი
აუდიტორი		ნათია კუპატაძე
აუდიტორი		ხათუნა აგულაშვილი
აუდიტორ - ასისტენტი		თამარ ზურაშვილი

დანართი

		2016 წელი							2015 წელი						
თვე	რაოდენობა	ჯგუფი1	ჯგუფი2	სხვაობა	ჯგუფი3	სხვაობა	ჯგუფი4	სხვაობა	ჯგუფი1	ჯგუფი2	სხვაობა	ჯგუფი3	სხვაობა	ჯგუფი4	სხვაობა
იანვარი	სკოლა	851	216		60		18		736	142		37		12	
	ბავშვი	1,912	1,959	(47)	975	984	490	485	1,725	1,276	449	626	650	339	287
	დაფინანსება	297,850	153,300	144,550	63,000	90,300	25,200	37,800	257,600	99,400	158,200	38,850	60,550	16,800	22,050
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	156	78		65		51		149	78		62		50	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			(3,076)		92		78			352		93		77
თებერვალი	სკოლა	863	223		59		18		739	153		37		14	
	ბავშვი	1,945	2,008	(63)	987	1,021	493	494	1,742	1,365	377	612	753	394	218
	დაფინანსება	302,050	156,100	145,950	61,950	94,150	25,200	36,750	258,650	107,100	151,550	38,850	68,250	19,600	19,250
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	155	78		63		51		148	78		63		50	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			(2,317)		92		74			402		91		88
მარტი	სკოლა	869	220		70		18		751	163		39		16	
	ბავშვი	1,989	1,986	3	1,177	809	496	681	1,722	1,445	277	637	808	443	194
	დაფინანსება	304,150	154,000	150,150	73,500	80,500	25,200	48,300	263,200	114,800	148,400	40,950	73,850	22,400	18,550
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	153	78		62		51		153	79		64		51	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			50,050		100		71			536		91		96
აპრილი	სკოლა	867	220		77		18		767	168		46		16	
	ბავშვი	1,981	1,992	(11)	1,303	689	499	804	1,750	1,476	274	741	735	440	301

	დაფინანსება	303,450	154,000	149,450	80,850	73,150	25,200	55,650	268,450	117,950	150,500	48,300	69,650	22,400	25,900
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	153	77		62		51		153	80		65		51	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			(13,586)		106		69			549		95		86
მაისი	სკოლა	872	218		79		18		786	176		48		16	
	ბავშვი	2,021	1,981	40	1,349	632	502	847	1,807	1,551	256	786	765	442	344
	დაფინანსება	305,200	152,600	152,600	82,950	69,650	25,200	57,750	275,100	123,200	151,900	50,400	72,800	22,400	28,000
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	151	77		61		50		152	79		64		51	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			3,815		110		68			593		95		81
ივნისი	სკოლა	877	209		80		18		803	174		48		16	
	ბავშვი	2,039	1,888	151	1,351	537	490	861	1,872	1,548	324	774	774	445	329
	დაფინანსება	306,950	146,300	160,650	84,000	62,300	25,200	58,800	281,050	121,800	159,250	50,400	71,400	22,400	28,000
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	151	77		62		51		150	79		65		50	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			1,064		116		68			492		92		85
ივლისი	სკოლა	871	215		71		19		812	184		45		16	
	ბავშვი	2,012	1,935	77	1,275	660	511	764	1,863	1,645	218	725	920	438	287
	დაფინანსება	304,850	150,500	154,350	79,800	70,700	26,600	53,200	284,200	128,800	155,400	47,250	81,550	22,400	24,850
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	152	78		63		52		153	78		65		51	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			2,005		107		70			713		89		87
აგვისტო	სკოლა	870	217		78		18		814	192		44		16	
	ბავშვი	2,001	1,947	54	1,314	633	485	829	1,867	1,729	138	709	1,020	438	271
	დაფინანსება	304,500	151,900	152,600	81,900	70,000	25,200	56,700	284,900	134,400	150,500	46,200	88,200	22,400	23,800
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	152	78		62		52		153	78		65		51	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			2,826		111		68			1,091		86		88

სექტემბერი	სკოლა	877	222		75		18		817	198		50		16	
	ბავშვი	2,011	1,998	13	1,264	734	478	786	1,858	1,752	106	794	958	429	365
	დაფინანსება	306,950	155,400	151,550	78,750	76,650	25,200	53,550	285,950	138,600	147,350	52,500	86,100	22,400	30,100
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	153	78		62		53		154	79		66		52	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			11,658		104		68			1,390		90		82
ოქტომბერი	სკოლა	881	223		76		19		841	203		51		14	
	ბავშვი	2,018	2,002	16	1,251	751	506	745	1,939	1,796	143	827	969	386	441
	დაფინანსება	308,350	156,100	152,250	79,800	76,300	26,600	53,200	294,350	142,100	152,250	53,550	88,550	19,600	33,950
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	153	78		64		53		152	79		65		51	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			9,516		102		71			1,065		91		77
ნოემბერი	სკოლა	892	227		80		19		842	217		52		17	
	ბავშვი	2,075	2,056	19	1,330	726	527	803	1,909	1,924	(15)	834	1,090	455	379
	დაფინანსება	312,200	158,900	153,300	84,000	74,900	26,600	57,400	294,700	151,900	142,800	54,600	97,300	23,800	30,800
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	150	77		63		50		154	79		65		52	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			8,068		103		71			(9,520)		89		81
დეკემბერი	სკოლა	900	228		86		21		848	221		58		17	
	ბავშვი	2,130	2,075	55	1,447	628	602	845	1,903	1,964	61	935	1,029	465	470
	დაფინანსება	315,000	159,600	155,400	90,300	69,300	29,400	60,900	296,800	154,700	142,100	60,900	93,800	23,800	37,100
	დანახარჯი 1 მოსწავლეზე	148	77		62		49		156	79		65		51	
	დანახარჯის ნამატი ერთეულზე			2,825		110		72			2,330		91		79

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ. თბილისი. ქ. წამებულის გამზირი N96
ტელ: +995 32 2438438